

ოჯახში წიგნიერების გარემოს გავლენა ბავშვის ფონოლოგიური
ცნობიერების განვითარებაზე

ნატო ჯამასპიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს როგორი კავშირია ოჯახში წიგნიერების გარემოსა და ფონოლოგიურ ცნობიერებას შორის, ასევე გამოვარკვიოთ როგორია მდგომარეობა ოჯახში წიგნიერების გარემოსთან მიმართებაში. კვლევის საწყის ეტაპზე ქართულ ენაზე ითარგმნა ოჯახში წიგნიერების გარემოს შესაფასებელი კითხვარი და შემუშავდა ფონოლოგიური ცნობიერების შესაფასებელი პროტოკოლი. არსებული შესაფასებელი ინსტრუმენტების შემდგომი დახვეწის მიზნით ჩატარდა პილოტური კვლევა. პილოტური კვლევის შედეგად განხორციელებული მცირედი ცვლილებების შემდეგ დაიგეგმა რაოდენობრივი, კორელაციური კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ორი უბნის, რომელთაგან ერთი მდებარეობდა გლდანის რაიონში, ხოლო მეორე დიდუბის რაიონში, ბადის 44-მა აღსაზრდელმა, მათი ასაკი იყო 5-დან 7 წელამდე. კვლევაში მონაწილე ბავშვების 24 ანუ 54.5% იყო გოგო, ხოლო 20 - 45.5% იყო ბიჭი. კვლევის პირველ ეტაპზე მშობელს უნდა შეეფასებინა სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავდა ოჯახში წიგნიერების გარემოს შეფასებას, ბავშვის ენობრივი განვითარების შეფასებასა და დემოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაციას. შევსებული კითხვარების საფუძველზე ბავშვები გადადიოდნენ კვლევის მეორე, ფონოლოგიური ცნობიერების შეფასების, ეტაპზე. მონაცემების დამუშავების შედეგად მივიღეთ დადებითი კორელაციური კავშირი ოჯახში წიგნიერების გარემოსა და ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას შორის. ოჯახში წიგნიერების გარემოსთან მიმართებაში გამოიკვეთა ისეთი აქტივობები, რომელსაც ნაკლებად მიმართავენ ქართველი დედები, მაგალითად არ ყიდულობენ ყოველკვირეულ გაზეთს, არ აქვთ ბიბლიოთეკის ბარათი და არც თუ ისე ხშირად სტუმრობენ ბიბლიოთეკას ბავშვებთან ერთად. ამასთან, დადგინდა, რომ მამის დასაქმება და განათლება დადებით კორელაციაშია ოჯახში წიგნიერების გარემოსთან, ხოლო დედის მახასიათებლები სტატისტიკურად არასანდოა. კვლევას აქვს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ოჯახში წიგნიერების გარემოსა და ფონოლოგიური ცნობიერების შესაფასებელი ინსტრუმენტები შეუძლია გამოიყენოს ყველა

დაინტერესებულმა პირმა, ვინაიდან ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავგეგმოთ აქტივობები და გავცეთ რეკომენდაციები ოჯახში წიგნიერების გარემოს განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას და დადებითად აისახება სკოლის ადრეულ ეტაპზე კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში წიგნიერების გარემო, ფონოლოგიური ცნობიერება, მზარდი წიგნიერება.

Abstract

The goal of the research is to present the study of the relationship between the Home Literacy Environment and Phonological awareness. Also, we want to know what kind of situation is about Home Literacy Environment. At the first stage of the research, we have translated Home Literacy Environment questionnaire and made protocol for assessment of Phonological awareness. Due to develop instruments we made pilot study. After pilot study we made some changes and then we planned quantitative, correlative study. There were 44 children from two different kindergartens. One kindergarten was from Tbilisi, region of Gldani and other one was from region of Didube. Participants age was from 5 to 7 years old, 24 (54.5%) were girls and 20 (45.5%) were boys. At the first stage of the research mothers were filling questionnaire which included information about Home Literacy Environment, language development and demography. By results which were based on questionnaire participants were assessed by phonological awareness protocol. Data correlation analyses showcased that there is positive correlation between Home Literacy Environment and Phonological awareness. About Home Literacy Environment there are some activities which are made very rarely by Georgian mothers, for instance, they do not buy weekly newspaper, they do not have card for library and they seldom visit libraries with children. Also, results say that father's occupation and education is in positive correlation with Home Literacy Environment, however mother's features are unreliable. The research has theoretical and practical value. The Georgian version of Home Literacy Environment questioner and Phonological awareness protocol will be useful for everybody who is interested in this topic. Based on this result we can plan some activities and make some recommendations for Home Literacy Environment, which will help to develop Phonological awareness and it will have positive affect on reading and writing development in early years at school.

Key words: Home Literacy Environment, Phonological awareness, Emergent Literacy.